ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
სხდომის ოქმი N 14
28.11. 2022

დღის წესრიგი:

1. 2023-2024 სასწავლო წლის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
2. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება.
3. 2023-2024 სასწავლო წლის მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება.
4. 2023-2024 სასწავლო წლის ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება;
5. მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის/ Multilingual Education - Integrated BA and MA Educational Program for Preparation of Primary School Teachers საბჭოს მიერ დამტკიცებულ (ოქმი N12) აღწერილობაში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება.
6. საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ჯილდოზე სტატიების წარდგენა.
7. ფსიქოლოგიისა დეპარტამენტის, პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა.
8. თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულის ნინო ჯორჯაძის კვალიფიკაციის ცვლილება.

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული მასალები წინასწარ გაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

სხდომას ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს 17 წევრი:
საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე
ფაკულტეტის საბჭოს წევრები :
ფსიქოლოგიის სასწავლო სამეცნიერო დეპარტამენტი:
პროფესორები :

იამზე კუტალაძე, მზია წერეთელი, ლალი სურმანიძე, ვახტანგ ნადარეიშვილი
ასოცირებული პროფესორები:

ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, ლუიზა არუთინოვა, ხათუნა მარწყვიშვილი, თამარ აბაშიძე, ლილი ხეჩუაშვილი, შორენა მამუკაძე, მაია მესტვირიშვილი, მედეა დესპოტაშვილი.

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>
პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი

ასოცირებული პროფესორები:
იზაბელა პეტრიაშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი.

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა **17 წევრი**

განიხილეს:

1. ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა იზაბელა პეტრიაშვილმა საბჭოს წარუდგინა პირველი საკითხი, რომელიც ეხებოდა 2023–2024 სასწავლო წლის ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცებას.

   ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლილი ხეჩუაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი არჩევითი საგნები უცვლელი დარჩა და აბიტურიენტებს მესამე არჩევით საგნად შეუძლიათ ჩააბარონ მათემატიკა/ისტორია/ბიოლოგია.

   ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ ფსიქოლოგიის საბაკალვრო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა 225–ს შეადგენს, ხოლო 2022–2023 წლის განაწილებით, მათემატიკისა და ბიოლოგიის მიხედვით ადგილების რაოდენობა 65–65 ადგილს შეადგენდა, ისტორიის მიხედვით – 95–ს.

   მსჯელობისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ადგილების რაოდენობა, რომელიც ისტორიისთვის იყო განკუთვნილი, ჭარბია და გამოითქვა აზრი, რომ შემცირდეს ისტორიის და გაიზარდოს ბიოლოგიისა და მათემატიკის ადგილები. შესაბამისად, საბჭოს მსჯელობა დასრულდა შეთანხმებით და 225 ადგილის შემდეგნაირი გადანაწილებით: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 90, ადგილების რაოდენობა ბიოლოგიის მიხედვით – 90, ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით – 45.

   საბჭომ კენჭი უყარა 2023-2024 სასწავლო წლის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცებას. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების მიხედვით მისაღები ადგილების რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვროს: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 90; ადგილების რაოდენობა ბიოლოგიის მიხედვით – 90; ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით – 45.

   მომხრე – 17

   წინააღმდეგი – 0

   თავი შეიკავა – 0

   დაადგინეს: დამტკიცდეს 2023-2024 სასწავლო წლის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის ანკეტა-კითხვარი. არჩევითი საგანი: ბიოლოგია,მათემატიკა, ისტორია. ადგილების რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვროს: ადგილების რაოდენობა მათემატიკის

მიხედვით – 90; ადგილების რაოდენობა ბიოლოგიის მიხედვით – 90; ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით – 45.

2. ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა იზაბელა პეტრიაშვილმა საბჭოს წარუდგინა მეორე საკითხი, რომელიც ეხებოდა 2023–2024 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცებას. ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ მასწავლებელთა მომზადების საგანამანათლებლო პროგრამაზე 2022–2023 წელს მისაღები ადგილების რაოდენობა 100–ს შეადგენდა, რომელიც შემდეგნაირად იყო განაწილებული: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 60 და ისტორიის მიხედვით – 40. ასევე, აღნიშნა, რომ განათლების დეპარტამენტის პოზიციის შესატყვისად, წარმოდგენილი განაწილება უცვლელია შემდეგი წლისთვისაც. შესაბამისად, საბჭო შეთანხმდა 100 ადგილის შემდეგნაირ გადანაწილებაზე: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 60, ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით – 40.

საბჭომ კენჭი უყარა 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცებას. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების მიხედვით მისაღები ადგილების რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვროს: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 60; ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით – 40.

მომხრე – 17
წინააღმდეგი – 0
თავი შეიკავა – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარი. არჩევითი საგანი: ისტორია და მათემატიკის ადგილების რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვროს: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 60; ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით – 40.

3. ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა იზაბელა პეტრიაშვილმა საბჭოს წარუდგინა მესამე საკითხი, რომელიც ეხებოდა 2023–2024 სასწავლო წლის მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცებას. ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ მასწავლებელთა მომზადების საგანამანათლებლო პროგრამაზე 2022–2023 წელს მისაღები ადგილების რაოდენობა 50–ს შეადგენდა, რომელიც შემდეგნაირად იყო განაწილებული: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 25 და ისტორიის მიხედვით – 25. ასევე, აღნიშნა, რომ განათლების დეპარტამენტის პოზიციის შესატყვისად, წარმოდგენილი განაწილება უცვლელია შემდეგი წლისთვისაც. შესაბამისად, საბჭო შეთანხმდა 50 ადგილის შემდეგნაირ გადანაწილებაზე: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 25, ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით – 25.

საბჭომ კენჭი უყარა 2023-2024 სასწავლო წლის მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცებას. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების მიხედვით მისაღები ადგილების რაოდენობა

შემდეგნაირად განისაზღვროს: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 25; ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით – 25.

მომხრე – 17
წინააღმდეგი – 0
თავი შეიკავა – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს 2023-2024 სასწავლო წლის მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარი. არჩევითი საგანი: ისტორია და მათემატიკის ადგილების რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვროს: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 25; ადგილების რაოდენობა ისტორიის მიხედვით – 25.

4. ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა იზაბელა პეტრიაშვილმა საბჭოს წარუდგინა მეოთხე საკითხი, რომელიც ეხებოდა 2023–2024 სასწავლო წლის ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცებას. პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამაზე 2022–2023 წელს მისაღები ადგილების რაოდენობა 20–ს შეადგენდა, რომელიც შემდეგნაირად იყო განაწილებული: ადგილების რაოდენობა ფიზიკის მიხედვით – 6 და ქიმიის მიხედვით – 6, მათემატიკის მიხედვით – 8. ასევე, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განაწილება უცვლელია შემდეგი წლისთვისაც. შესაბამისად, საბჭო შეთანხმდა 20 ადგილის შემდეგნაირ გადანაწილებაზე: ფიზიკის მიხედვით – 6 და ქიმიის მიხედვით – 6, მათემატიკის მიხედვით – 8.

საბჭომ კენჭი უყარა 2023-2024 სასწავლო წლის ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის ანკეტა-კითხვარის დამტკიცებას. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების მიხედვით მისაღები ადგილების რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვროს: ადგილების რაოდენობა ფიზიკის მიხედვით – 6 და ქიმიის მიხედვით – 6, მათემატიკის მიხედვით – 8.

მომხრე – 17

წინააღმდეგი – 0
თავი შეიკავა – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს 2023-2024 სასწავლო წლის ოკუპაციური თერაპიის პროგრამის ანკეტა-კითხვარი. არჩევითი საგანი: ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა – ადგილების რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვროს: ადგილების რაოდენობა მათემატიკის მიხედვით – 8; ფიზიკის მიხედვით – 6 და ქიმიის მიხედვით – 6.

5. ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა იზაბელა პეტრიაშვილმა საბჭოს წარუდგინა მეხუთე საკითხი, რომელიც ეხებოდა მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის/ Multilingual Education - Integrated BA and MA Educational Program for Preparation of Primary School Teachers საბჭოს მიერ დამტკიცებულ (ოქმი N12) აღწერილობაში დაფიქსირებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლილი ხეჩუაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის/ Multilingual Education - Integrated BA and MA Educational Program for Preparation of Primary School Teachers საბჭოს მიერ დამტკიცებულ (ოქმი N12) აღწერილობაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, პროგრამის აღწერილობის ტექსტში „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ნაცვლად“ ეწერა „ბუნებისმეტყველება“. აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია.

ასოც. პროფესორებმა ზაქარია ქიტიაშვილმა და იზაბელა პეტრიაშვილმა დაადასტურეს, რომ პროგრამის აღწერილობაში აღარ არის არც ერთი ტერიმინოლოგიური თუ სხვა ტიპის ხარვეზი და ტექსტი სრულიად გამართულია.

საბჭომ კენჭი უყარა მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის/ Multilingual Education - Integrated BA and MA Educational Program for Preparation of Primary School Teachers პროგრამის აღწერილობაში დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორებას და, შესაბამისად, ტექსტის განახლებულ ვერსიას.

მომხრე – 17
წინააღმდეგი – 0
თავი შეიკავა – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის/ Multilingual Education - Integrated BA and MA Educational Program for Preparation of Primary School Teachers პროგრამის აღწერილობის გასწორებული, საბოლოო ვერსია.

6. საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ჯილდოზე სტატიების წარდგენა.

ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. თ. გაგოშიძემ განსახილველად წარმოადგინა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ჯილდოზე საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამი სტატიის წარდგენის საკითხი:

<u>**საფაკულტეტო ჯილდო (Cite Score ნაკლებია 1.00)**</u>

1. ხ. მარწყვიშვილი, ნ. ლაღიძე

<u>სტატიის სათაური:</u> “ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა და პანდემია: ემოციური ინტელექტის, თვითთანაგრძნობისა და რუმინაციის როლი“ (,,Well-being and pandemic lockdown: The role of emotional intelligence, self-compassion and rumination“). *<u>ჟურნალის დასახელება</u>* :ფსიქოლოგიური აზროვნება (Psychological Thought)

Cite Score : 0.7 (SCOPUS)

<u>**საუნივერსიტო ჯილდო: (Cite Score მეტია 1.00)**</u>

1. ხ. მარწყვიშვილი, მ. მესტვირიშვილი, ნ. ღოლიჯაშვილი, თ. ონიანი, ა. ნოიბაუერი

<u>სტატიის სათაური:</u> ექვსფაქტორიანი მოდელის გაზომვა: HEXACO-PI-R საკვლევი ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლები („Measuring the six-factor model dimensions: Psychometric properties of the Georgian version of the HECAXO-PI-R. "). *<u>ჟურნალის დასახელება:</u>* კვლევები ფსიქოლოგიაში (Psychological Studies)

Cite Score : 1.3 (SCOPUS)

2. ვ. გამსახურდია

სტატიის სათაური: "სემიოტიკური მედიაციის სტრატეგიების შესწავლა - COVID-19-ის გააზრება" Exploring strategies of semiotic mediation – Making sense of COVID-19' ჟურნალის დასახელება: კულტურა და ფსიქოლოგია (Culture & Psychology)

Cite Score : 2.2 (SCOPUS)

წარმოდგენილი სტატიებიდან ხ. მარწყვიშვილის და ნ. ლაღიძის სტატია აკმაყოფილებს ფაკულტეტის მიერ მიღებული დასაჯილდოებელი სტატიების შეფასების კრიტერიუმებს. ხოლო ხ. მარწყვიშვილი, მ. მესტვირიშვილი და სხვ. სტატია, ასევე ვ. გამსახურდიას სტატია აკმაყოფილებს დასაჯილდოებელი სტატიებისადმი წაყენებულ საუნივერსიტეტო მოთხოვნებს.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს თითოეული სტატიის ჯილდოზე წარდგენის საკითხს:
მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

ა. საფაკულტეტო ჯილდოზე წარდგენილ იქნას ხ. მარწყვიშვილის, ნ. ლაღიძის სტატია.

ბ. საუნივერსიტეტო ჯილდოზე წარდგენილ იქნას: 1. ხ. მარწყვიშვილი, მ. მესტვირიშვილი, ნ. ღოლიჯაშვილი, თ. ონიანი, ა. ნოიბაუერის და 2. ვ. გამსახურდიას სტატიები.

7. ფსიქოლოგიისა დეპარტამენტის, პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა;

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ ფსიქოლოგიისა დეპარტამენტის, პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის თავმჯდომარედ წამოაყენა პროფესორ ვლადიმერ გამსახურდიას კანდიდატურა.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა ფსიქოლოგიისა დეპარტამენტის, პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის თავმჯდომარედ ვლადიმერ გამსახურდიას არჩევას.

მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ვლადიმერ გამსახურდია არჩეულ იქნას ფსიქოლოგიისა დეპარტამენტის, პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების კომიტეტის თავმჯდომარედ.

8. თსუ ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2003 წლის კურსდამთავრებულის ნინო ჯორჯაძის კვალიფიკაციის ცვლილება.

ფაკულტეტის საბჭომ ა.წ. 28 ოქტომბერს განიხილა 2003 წლის კურსდამთავრებულ ნინო ჯორჯაძის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა. ნინო ჯორჯაძის აკადემიურ ხარისხად განისაზღვრა ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით (2003 წლის N4/740, 08. 07. ბრძანების მიხედვით). მოგვიანებით ნინო ჯორჯაძემ თსუ სასწავლო დეპარტამენტს წარუდგინა თავისი დიპლომი, აკადემიურ ხარისხად მითითებულია <u>ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია.</u> ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს <u>მინიჭებულ კვალიფიკაციაში დამატებით ფსიქოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაციის</u> განსაზღვრის საკითხი.

ფაკულტეტის საბჭომ კენჭი უყარა
მომხრე: 17
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2003 წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 19 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის სხდომის ოქმში მითითებულ კურსამთავრებულთა, მათ შორის ნინო ჯორჯაძის აკადემიურ ხარისხად განისაზღვროს შემდეგი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით, ფსიქოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია.
ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიშვილი